



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
მდივნის
განკარგულება №02-388/2017

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო
ორგანიზაციის „ასოციაცია „თავისუფალი თაობა“ დამკვირვებლების რეგისტრაციაზე
უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისი

2017 წელი 18 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 78-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ვადგენ:

მუხლი 1. უარი ეთქვათ დამკვირვებლებად რეგისტრაციაზე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის „ასოციაცია „თავისუფალი თაობა“ წარმომადგენლებს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 39-ე მუხლის მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვინაიდან:

1. ვახტანგი კირვალიძე - რეგისტრირებულია №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №21);
2. ნათია თათარაშვილი - რეგისტრირებულია №12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №29);
3. მადონა ლიპარტელიანი - რეგისტრირებულია №30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №13);
4. ირაკლი ფარულავა - რეგისტრირებულია №67 ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №18);

5. ჯუმბერ კობალაძე - რეგისტრირებულია №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით (რიგითი №10);

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი